

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში წინამდებარე ცვლილებები გამოწვეულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით.

ცვლილებათა საფუძველს წარმოედგენს როგორც ტერმინოლოგიური, ასევე სხვა სამართლებრივი და ლოგიკური ხასიათის საკითხები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი ახლებურად აყალიბებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 88-ე მუხლს, განსაზღვრავს პასუხისმგებლობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წესებისა და არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების წესების დარღვევისათვის, შეესაბამება რა კონკრეტულ სამართლებრივ აქტებს და იძლევა მუხლის ამოქმედების შესაძლებლობას. მუხლში ასევე რანჟირებულია პასუხისმგებლობა სხვადასხვა კატეგორიის ძეგლებისა და შესაბამისი ჯარიმების ოდენობის, ასევე სანებართვო პირობების დარღვევითა და უნებართვოდ წარმოებული საქმიანობის მიხედვით. იგი, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის განსაზღვრის პრინციპების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებს ჯარიმის ოდენობის ზრდას უნებართვოდ წარმოებული სამუშაოების შემთხვევაში, რაც კმნის დამრღვევის მიერ დარღვევის აღმოფხვრის სტიმულს.

89-ე მუხლში, დაცული ტეროტორიების ჩამონათვალში ემატება კულტურული მემკვიდრეობის ზონები.

147¹-ე და 150¹-ე მუხლებში შედის ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ახალი ჯარიმის შემოღება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების და არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების წესების დარღვევაზე:

ძეგლისა და არქეოლოგიის შემთხვევაში – 5000 ლ;

ეროვნული მნიშვნელობის ძეგლზე – 10 000 ლ;

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე – 20 000 ლ.

დაჯარიმების საფუძველების აღმოფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმა ორმაგდება წინა მანქნებელთან შედარებით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტი ითვალისწინება ახალი ჯარიმის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.